ნახ. ი. ქოქიაშვილისა

რესპუბლიკის ზოგიერთ სოფელსა და დასახლებულ პუნქტში თვეობით არ უჩვენებენ კინოსურათს.

— ხედავ, ქარუმ, ამ ზაფხულსაც „წარსულ ზაფხულს" გვიჩვენებენ?!

№ 15 თბილისი აგვისტო 1960

ბიბიგონი

გამოცემის XXXVIII წელი, ფასი 2 მან.

ნიანგის ფოსტა

~~უოველდღიურად მრავალ წერილს დებულობს ნიანგი ჩვენი. ესენი ~~
~~ყის ყველა კუთხიდან. მათში არის რო~~
~~გორც იუმორისტული მოთხრობები და~~
~~ფელეტონები, ისე პასუხები გამოქვეყ~~
~~ნებულ კრიტიკულ მასალებზე. ნიანგს~~
~~სურს მკითხველებს აცნობოს მიმდინა~~
~~რე წელს დაბეჭდილ ზოგიერთ კრიტი~~
~~კულ ფელეტონსა და წერილზე მიღე~~
~~ბული პასუხების შინაარსი.~~



სადგურ მცხეთაში სიწყნარეა

მკითხველებს კარგად ახსოვთ წერილი, რომელიც ნიანგმა დაბეჭდა მიმდინარე წლის მე-2 ნომერში სათაურით—«მიეცეს ნიჭსა გზა ფართო». მასში მოთხრობილი იყო მცხეთის სადგურის უფროსის მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჩიგოგიძისა და მისი მარჯვენა ხელის ბიჭიკო კალანდაძის «საგმირო» საქმეების შესახებ.

საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. მირზიაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. მიხეილ ჩიგოგიძე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო სადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბიჭიკო არქიპოს-ძე კალანდაძე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლისა. პარტიული მეურნეობის მოუწესრიგებლობისა, შრომის დისციპლინის უხეში დარღვევისა და ცილისმწამებლური ჭორების შეთხზვაში მონაწილეობისათვის მოიხსნა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან და გამოეცხადა საყვედური.

ამჟამად სადგურ მცხეთაში სრული სიწყნარეა და აღარავინ უშლის ხელს მუშა-მოსამსახურეებს ნორმალურ მუშაობაში.

დამნაშავენი დაისაჯნენ

ნიანგმა თავის მე-4 ნომერში დაბეჭდა ფელეტონი—«პრ 14-12», რომელშიაც აღნიშნული იყო თუ გამოძიებისა და ცრუმოწმეთა ჩვენებით როგორ შეიცვალა ბრალმდებლისა და ბრალდებულის როლები.

აღნიშნულ საკითხზე თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ დამატებით ჩაატარა ძიება. რის შემდეგ საქმე განიხილა ამავე რაიონის სახალხო სასამართლომ და მძღოლ ამირან ჩახავას, რომელმაც მანქანის დაჯახებით მძიმედ დააშავა მოქ. სონიშვილი, მიესიჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

სათანადოდ დაისაჯნენ ის ექიმები, რომლებიც ყალბი საბუთების შედგენით და გამოძიების დროს მიცემული ცრუჩვენებებით ცდილობდნენ სასჯელი აეცდინათ დამნაშავისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მინისტრი ამხ. გ. მარუაშვილი გვატყობინებს, რომ სამინისტროს კოლეგიამ სპეციალურად განიხილა ექიმების მ. გურგენიძის, ვ. ბერაძისა და სასამართლო-მედიცინის ექსპერტ მ. ნინიკაშვილის საკითხი. კოლეგიის დადგენილებით დაეკვალა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კ. ს. ინსტიტუტის ადმინისტრაციას, ადგილკომთან ერთად, განიხილოს საკითხი. მურმან გურგენიძის დაკავებული თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. ექიმ ვ. ბერაძეს, რომელსაც ფელეტონის მკითხველები იცნობენ, როგორც ცრუმოწმეს, გამოეცხადა საყვედური, ხოლო მ. ნინიკაშვილს მიეთითა.

კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება გაეგზავნა რესპუბლიკაში არსებულ ჯანმრთელობის დაცვის ყველა ორგანოს სამედიცინო პერსონალისათვის გასაცნობად.

ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ ქ. თბილისის მილიციის მუშაკებს ლ. შარიფაშვილს და ნ. ცინცაძეს.

აღუდგენელი ავტორიტეტი

სამგზავრო ტაქსების მძღოლთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა «ნიანგის» მე-6 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი «დაკარგული ავტორიტეტი». თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარსამმართველოს სამგზავრო ტაქსების სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. კვარაცხელიამ გვაცნობა, რომ მათ მიერ ჩატარებული იქნა სათანადო მუშაობა მძღოლთა შორის მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. მიღებულია აგრეთვე ზომები გარაჟიდან გასვლის წინ მძღოლთა ხურდა ფულით უზრუნველსაყოფად.

ამხ. დ. კვარაცხელიას თავის მომართვაში ჩამოთვლილი ჰყავს ის მძღოლები, რომლებიც დაისაჯნენ მგზავრთა მოტყუებისათვის. აქვე ის აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მოქალაქე იჩენს დაუშვებელ უპრინციპობას მძღოლთა დანაშაულის მხილებისა და დასჯის საქმეში. ასეთი მგზავრები ჯერ აყენებენ საკითხს მძღოლის დასჯის შესახებ, ხოლო, როდესაც იწერება ბრძანება მათ განთავისუფლებაზე, წერენ ახალ განცხადებებს და გამოდიან დამნაშავეთა დამცველის როლში.

ნიანგს მიაჩნია, რომ, მიუხედავად სამმართველოს მიერ მიღებული ზომებისა, მრიცხველების ავტორიტეტი დღემდე აღუდგენელი რჩება. საჭიროა ამ მიმართულებით სამმართველომ კვლავ გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

„ფიგარო" დაპატიმრებულია

არავინ იფიქროს, რომ საქმე საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოების მთავარ გმირს ფიგაროს ეხება. აქ სხვა ამბავია. ნიანგმა თავის მე-7 ნომერში გამოაქვეყნა ფელეტონი—«ფიგარო აქ, ფიგარო იქ». ამ ფელეტონის გმირი, რომელიც ხოტმიკოღლუს ალი გაშიმოვს, ალი აღდაშლის და ვინ იცის კიდევ რას არ უწოდებდა თავის თავს. ამას წინათ აზერბაიჯანიდან საქართველოს ესტუმრა «საგასტროლოდ».

ამ თაღლითმა, ქურდმა და გაიძვერამ მრავალი დანაშაული ჩაიდინა თავის სამშობლოში და შემდეგ საქართველოს მოაშურა. ჩვენი დროის ხლესტაკოვმა აქ თავი აზერბაიჯანელ მწერლად გაასაღა. კარგად იპურმარილა მისთვის თუ სხვისთვის მოწყობილ ბანკეტებზე. «სესხის» სახით ფულიც ბლომად შეაგროვა და შემდეგ გაუჩინარდა.

აზერბაიჯანის სსრ პროკურატურა გვატყობინებს, რომ ქურდი და გაიძვერა ხოტმიკოღლუ, იგივე ალი გაშიმოვი დაპატიმრებულია და მალე მისი «შემოქმედებითი» ანგარიში მოსმენილი იქნება სასამართლოს სხდომაზე.





ნახ. დონისა

ორი დაჯახება

ნათლობა

მშრომელთა დეპუტატების სოხუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის ხელგაშლილობასა და გულკეთილობაზე თუნდაც ის ფაქტიც აშკარად ღაღადებს, რომ იგი სულაც არ ერიდება ზედმეტ ხარჯებს და წარამარა უცვლის ქუჩებს სახელებს, აკრავს და აკრავს ახალ-ახალ აბრებს. ისე ხშირია ქუჩების მონათვლა და გადანათვლა, რომ, ხანდახან, ორი დღის მივლინებიდან დაბრუნებული კაცი თავის ქუჩას ვერ აგნებს, თუ ვინიცობაა, ცოტა არ იყოს, შექეიფიანებული, ტაქსში ჩაჯდება და მის მძღოლს მიანდობს მეგზურობას.

ღმერთზე იტყვიან სამობითაო, სოხუმში კი ამბობენ, ღმერთი არ არსებობს, მაგრამ სამობა მაინც დარჩა, რადგანაც ჩვენს მშობლიურ ქალაქში ქუჩაა სამობითო.

ასე, მაგალითად, ოთხი მარტის ქუჩას ამ მოკლე ხანში სამჯერ შეეცვალა სახელი. ჯერ იყო ოთხი მარტის ქუჩა, მერე ნინოშვილის ქუჩად იქცა, ოთხი მარტის ქუჩად იქცა ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა, მერე, ალბათ, ამჯერად მან რამე დანაშაული ჩაიდინა, ქალაქის საბჭომ დაუყოვნებლივ მოიწვია სხდომა, და, როგორც მოუსვენარი ქუჩა, ცენტრიდან სადღაც გარეუბანში გადაასახლა და იქ მიკარგა.

ფოსტის დამტარებლები ფეთიანებივით დარბიან ქუჩიდან ქუჩაზე, რათა როგორმე აღმოაჩინონ ადრესატი, მაგრამ მათი ღვაწლი ხშირად ამაოა, რადგან ერთი მოკითხვის ბარათის დანიშნულებისამებრ ჩასაბარებლად კაცი მთელ ქალაქს ვერ შემოირბენს და ამიტომაც იოლი გზით არჩევს სახლაფორთო ბარათის თავიდან მოშორებას: «მოქ. ესა და ეს აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობსო» მიაწერს და ჰაიდა, წერილი, უნდა თუ არა, პატრონს უბრუნდება ამაოდ დამაშვრალი და გაწბილებული. ათასგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა კვალდაკვალ მოსდევს ამ ამბავს და არის ერთი კვლევა და ძიება, სად გადავიდა ახლო ნათესავი ისე, რომ არც კი გააგებინა მას და ასე და ამგვარად, და ასე შემდეგ.

კომუნალური განყოფილების ტექნიკური აღრიცხვის მუშაკებსაც ებნევათ დავთარი, თუ ფოსტის დამტარებელმა ადრესატი დაკარგა, ესენი მთელ სახლს კარგავენ მთელი თავისი ავლადიდებითა და მცხოვრებლებით.

სამისამართო ბიუროშიც ბრინჯივით არიან დაბნეულნი: როცა თხოვ ესა და ეს ქუჩა მიმასწავლეო, ასე გეუბნებიან, ან იქ მიდი, ან იქ მიდი და ან ნახავ და ან ვერ ნახავო.

ყველაფერი ეს მაშინ ხდება, როცა ქუჩების მთელი რიგი ჯერ კიდევ მოუნათლავია: «პირველი უსახელო», «მეორე უსახელო», «მესამე უსახელო», პირველი უსახელოს უსახელო შესახვევი, «ბესლეთის პირველი», «ბესლეთის მეორე» და ასე შემდეგ.

როდის მოხდება სოხუმის ქუჩების საბოლოო ნათლობა?

ი. სოხუმელი

კიბერნეტიკა გვიშტიბში

კიბერნეტიკის როლი და მისი დანიშნულების აუცილებლობა წყალტუბოელ ფოსტის განყოფილების მუშაკებმაც კარგად იციან.—მეცნიერება სასწაულებს ახდენს და ჩვენ რა პირდაბჩენილი ვზივართ,—თქვეს ერთ დღეს წყალტუბოელმა ფოსტის მუშაკებმა.

— აბა, რავა პირდაბჩენილა ვზივართო.—გაიმეორეს.

—აღმოჩენაო!—იბღავლა ერთმა.

— რა აღმოჩენაო,—პირი დააღეს დანარჩენებმა.

— აგერ ახლოს ლამაზი, კეთილმოწყობილი სოფელია..,

— რომელიო!—იკითხეს.

— გვიშტიბიო.—თქვა აღმომჩენელმა.

— უი. მართლაო,—კიდევ გაუფართოვდათ პირი დანარჩენებს.

— მერე, მერე! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— ჰოდა,—განაგრძო მან.—აგერ აპარატი რომ გვაქვს..,

— რა აპარატიო,—ეცა პირში რომელიღაც.

— ავტომატაპარატი, რაიონიდან რომ თავისით რთავს აბონენტებს, როცა ფოსტის გამგე სახლში მიდის სამუშაო საათებს შემდეგ.

— ეს ძალიან კაი, მარა ეს აპარატი გვიშტიბში გამოგონებული არ უნდა იყოსო,—ვერ დაფარა უკანა სკამზე მჯდომმა.

— მერე რა ვუყოთ ამ აპარატსო?—ჰკითხეს გამომგონებელს.

— გვიშტიბის სასოფლო ფოსტაში დავდგათო.

— აგაშენა ღმერთმა და მალადეცო!—იბღავლა ყველამ.

ასე დაედო საფუძველი კიბერნეტიკულ აღმოჩენას ერთ ლამაზ, კეთილმოწყობილ სოფელში ორი წლის წინ და აპარატი, რომელიც იმიტომ გამოჩნდა ქვეყნად, რომ ავტომატურად რთავდეს რაიონიდან აბონენტებს, ფოსტის გამგის წასვლის შემდეგ დუმს, დუმს მთელი თექვსმეტი საათი

ო. იოსელიანი



ამბავი, რომელიც ამ საფეხბურთო სეზონში მოსდევნა

თეკლე დღესაც პანღალაზე ფიქრობდა. ეს პარაკენობდა ქმარს:

— კაცო, რამ გადაგრია, გადაგრიოს? ჩემმა გამზრდელმა. ალარავის ალარ ეშინია: არც ღმერთი, არც შვილი? გვიფიანრა ... ფეხბურთელ...

— თეკლე, დღეს და ხვალ ნუ დამიწყებ ლი და მერე. თუ გინდა, პირქვე დამამარხე.

— აა, ხვალ ფეხბურთია, არა?! რა ბეფეხბურთისა. შე უტვინო, სიდედრი ხელადან გეცლება... არა. გვიფარია, რა გინდა, რა?

— მოგება!

— შენ ისევ იმაზე ლაპარაკობ?

— არა. ხვალ სხვა ბუნდ ვეთამაშებით.

— ღმერთო, არ გაგვიჯდე! წადი ახლა. წამალი მაინც მოიტანე ფიდანეშისაკენ.

— წამალი გუშინწინ არ მოვიტანე, რა, ავადმყოფნარ ავადმ ...—ერთი წუთლა კიდევ დაადეგენა თეკლემ პირის დასაბანად გასელ ქმარს და წამალს დაუწყო ძებნა. ჩანთაში ბოთლი წამალ ...

— ბოლ ... ბოლ ... ბოლ ...

ფიასკო

ჩემი ოჯახი და ბუღალტერია ერთიმეორისაგან განუწყვეტელი მცნებებია. საოჯახო ბიუჯეტი მტკიცე საცხოვრებელ გეგმაზეა აგებული და ერთი კაპიკი სალდოც კი, აქტივში მოხვედრილი, ახალი შენაძენია, ხოლო პასივის გრაფაში—მთელ გადატრიალებას იწვევს. ყველაფერი გეგმით მაქვს გათვალისწინებული. ასე გასინჯეთ ავტოტაქსოყაჩაღის სასარგებლო აუცილებელი გადანახარჯიც კი, რომლის გამო მადლობასაც არ ამბობს მისი წამღები.

მაგრამ აი, ჩემი ოჯახის საბალანსო პასივში შეიჭრა უცნაური შემთხვევა. ამ შემთხვევამ უცებ 1120 მანეთი დამიკარგა. ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად გამოირკვა, რომ უნდა გადაიყაროს ჩემი ოჯახის კუთვნილი საბავშვო ველოსიპედი, საბავშვო ეტლი, ავტოსიფონი, ელექტროშრაქი, ჩინური ელექტროფანარი და მანთია („ზაჟიგალკა"). უნდა გადაიყაროს, მაგრამ სად? ავტოსიფონი, ელექტროშრაქი, ელექტროფანარი და მანთია თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს სანაგვე ყუთში. ველოსიპედსა და საბავშვო ეტლს კი იგი ვერ დაიტევს. მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ ჩვენი სარდაფი უკვე სავსეა ძველმანებითა და პირაბზარული. ბოთლებით, რომლებიც გასტრონომმა იარლიყით დაფარა და ისე შემოგვატყუა.

გაჭირვებიდან გვიხსნა ჩემმა უფროსმა ბიჭმა, რომელმაც მაშინვე მოიწვია სკოლის ამხანაგები და მათ, დიდი მადლობის გადახდის შემდეგ, ხსენებული ნივთები სიამოვნებით წაიღეს უტილში ჩასაბარებლად.

ზემოხსენებული ზარალი გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:

საბავშვო ველოსიპედი და **ეტლი**, ავტოსიფონი, ელექტროშრაქი, **ფანარი** და მანთია შეძენილი მაქვს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ფასად. დღეს კი გამოირკვა, რომ მანთიისათვის, რომელსაც ასე გაფაციცებით უშვებს ჩვენი ქალაქის წარმოება, ქვა არ იშოვება ჩვენს ქალაქში. ქვას მხოლოდ ერთ ცალს გაძლევენ მანთიის ყიდვის დროს და შემდეგ, ხელახლა თუ იყიდი მანთიას, თორემ, ქვას ვერსად იშოვი. ავტოსიფონს მცველი სარქველის რეზინი გაუცვდა შეძენიდან მესამე დღეს და, როგორც მაღაზიის მუშაკთა პასუხიდან გამოირკვა, საჭიროა 130 მანეთად ღირებული ახალი სიფონის ყიდვა, რადგან სავაჭრო ორგანიზაციას კაპიკად ღირებულ საქონლის სხვა რესპუბლიკიდან შემოზიდვა ხელს არ მისცემს.

ჩინური ფანრის განათებას სჭირდება ეგრეთ წოდებული ელემენტი. ელემენტი შრება ექვს თვეში, ხდება გამოუსადეგარი და მის სასყიდლად საჭირო ყოფილა ჩინეთს წასვლა. ასე, რომ ერთი პატარა ფანრის სინათლე უნდა დამიჯდეს იმდენივე, რა ფასადაც ზაპესისხელა მთელ ელსადგურს ავაშენებდი რომელიმე მდინარეზე.

ელექტროშრაქის ღირებულება 32 მანეთია. მას მორგებული აქვს განსაკუთრებული ელნათურა თავისივე ჩაჩით. ელნათურა გადაიწვა რამდენიმე თვეში. იგი აღარ იშოვება ჩვენს ქალაქში. გამოუსადეგარი გახდა თვით ჩაჩიც, რადგან კაცის თავს ის მაშინაც ვერ მოერგება, რეზინისაც რომ იყოს.

რაც შეეხება საბავშვო ეტლსა და ველოსიპედს, ორივეში გადახდილი მაქვს 900 მანეთი, ორივე რეზინის საბურავებითაა აღჭურვილი და, მოგეხსენებათ, საბურავი თუ გაბერილი არ არის, ისე მისი ხმარება შეუძლებელია. გაბერვას კი ხელს უშლის სრულიად მცირე დეტალი, ეგრეთ წოდებული „ზოლოტნიკი", რომელიც გაცვდა, აგრეთვე ქალაქში არ იშოვება. მის შესაძენად საჭირო ყოფილა მოსკოვს წასვლა და, თუ გინდა, რომ ასეთი მგზავრობა იაფი დაგიჯდეს, უნდა საკუთარ სარგებლობისათვის შეიძინო «ტუ-104».

მაგრამ ყველაზე ტრაგიკული გახლდათ ჩემი უფროსი ბიჭის ამასწინანდელი არასასიამოვნო ინფორმაცია. მან სირბილით მოაღწია სახლამდე და კარგახანს ქლოშინის შემდეგ გამიცხადა, რომ მაღაზიებში მრავალი ცდის შემდეგ მოულოდნელად გაჩნდა ეგრეთწოდებული «ზოლოტნიკები» და მანთიის ქვა. მანთიის სანაგვე ყუთში ძებნა მაღაზიაში ჩაის ლამბაქისა და უბრალო სამარილის მოკითხვას უდრიდა. ჩვენი ველოსიპედი და საბავშვო ეტლი კი, როგორც იმავე ჩემმა ბიჭმა ამიხსნა, უკვე გადაედნოთ და ტროლეიბუსის მისაბმელი გაეკეთებინათ.

ამრიგად, ჩემი საოჯახო ბუღალტერია დადგა ყირაზე და განიცადა საშინელი ფიასკო. ეს გამოიწვია ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციის კომერციულმა ბუღალტერიამ, რომელიც მის მუშაობაში ითვალისწინებს შემდეგს: საფინანსო გეგმა რომ გადაჭარბებით შეასრულო, საჭიროა ძვირადღირებული, ადვილგასასყიდი საქონლის შემოზიდვა საწყობსა და მაღაზიებში, იმ საქონელს თუ დამატებით იაფად ღირებული დეტალს შეცვლა დასჭირდა, ამაზე თავი უნდა იტეხოს თვითონ მომხმარებელმა.

თუ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების უნარი და მომსახურება ამ გზით წარიმართა, მალე ალბათ იმის მოწმენიც გავხდებით, რომ სარკლის მინის ჩამსხვრევის შემთხვევაში, ახალ, სამაგიერო სახლს ავაშენებთ, ხოლო ღვინოს მხოლოდდამხოლოდ ყანწთან ერთად გავყიდით.

გ. ივანიშვილი

ნიკიტის ლექსიკონი

ექიმი—ეტყვი სად გტკივა და შეიძლება გითხრას რა გტკივა.

ზემო სასუნთქი ორგანოს კატარალური ანთება—სამსახურის უმიზეზოდ გაცდენისას ემართებათ.

თერმომეტრი—ჩიტის რძე.

ტელევიზორი—ოჯახში ახალ-ახალი უცნობების გამცნობი აპარატი.

სპეკულანტი—მოდების გამავრცელებელი.

მოდა—ეპიდემიური ხასიათის ავადმყოფობა. ორივე სქესის ახალგაზრდებს ემართება. თბილისში ხანშიშესულ ადამიანებსაც გადაედო.

მაცივარი—მეზობლისაა და შენი რომ გგონია.

ვ. ზენგელი

ნახ. ა. კანდელაკისა

— რა დაგემართათ, რომ მთელი ოჯახი ამ ერთ ვირთაგვას დასტირით?

— მარჩენალი დავკარგეთ, ქალო, და არ ვიტიროთ? ვისლა უნდა დაებრალოს ჩემმა ქმარმა პროდუქტების დანაკლისი!

ყოველთვიურ ჟურნალებზე

საუმარელო ნიანგო!

გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდ ჭყონწში ორი კოლმეურნეობაა — კალინინის სახელობის და მახარაძის სახელობისა, პირველს ა. ჯანაშია თავმჯდომარეობს, მეორეს ნ. დგებუაძე. ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო, გარდა ერთი კილომეტრი შარაგზისა და წლების მანძილზე დავობენ... თუმცა არა კერძო-მესაკუთრული პრინციპით, არა, სრულიად საწინააღმდეგო გრძნობებითა და განწყობილებებით... არადა ეს გზა შენ გეკუთვნის, არადა შენო. ზედ ერთიც დაიარება და მეორეც, ერთსაც სჭირდება და მეორესაც, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაირკვა საბოლოოდ ვის ეკუთვნის იგი. საქმე ისაა, რომ გზა ორმოებითაა სავსე და გასაკეთებელი, თორემ, ია-ვარდებით რომ იყოს მოფენილი და არა ტალახით, ერთიც თავისად ჩათვლიდა და მეორეც.

სოფსაბჭოს თავმჯდომარეს იმდენი ქაღალდი აქვს დაწერილი ამ გზის კეთილმოწყობისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომ გზის იმ ნაკვეთს თავიდან ბოლომდე გასწვდებოდა, მაგრამ რაიაღმასკომის „ნეიტრალიტეტის" წყალობით საქმე ადგილიდან არ იძვრის.

როგორც მცხოვრებლები იძახიან, სხვა გზა არ არის, ეს გზა უნდა გაკეთდეს. მაგრამ ჯერჯერობით კაცისშვილი არ გამოჩნდა, რომელიც გაარკვევს რა გზით უნდა გაკეთდეს იგი. შენს იქით გზა არა გვაქვს. საყვარელო ნიანგო და იქნება ჩამჩხვიდე, გზადაგზა გააგებინო ვისაც ჯერ არს. ვინ და რატომ უნდა გააკეთოს იგი და რომ ამ გზით, რომელსაც ახლა ადგანან, გზის გაკეთება შეუძლებელია.

დიდი ჭაოსელი

პატივცემულო ნიანგო!

მართალია, არსებობს ქართული ბრძნული ანდაზა—„ღმერთმა გაშოროს ექიმი და ვექილიო", მაგრამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ არც ასეა საქმე. გორის რაიონის სოფელ საყავრის საექიმო უბანს, უჯარო გენერლისა არ იყოს, შვიდი წელია, რაც ექიმი არა ჰყავს.

ამ გრძელი შვიდი წლის მანძილზე უექიმოდ დარჩენილი რომელიმე ავადმყოფი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში რომ გაგვგზავნა, თუ პროფესორი არა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ მაინც დაგვიბრუნდებოდა.

ამ საკითხის გარშემო გვინდოდა შეეკრებილიყავით, ჩვენი გულის ტკივილი ერთი მეორისათვის გაგვეზიარებინა, გვეთათბირა, გვეკამათა, მაგრამ, თავს ზევით ძალა არ არის, ვერ მოვახერხეთ, რადგანაც სოფელში, უკაცრავად ვართ და კლუბი არა გვაქვს.

ვიღაცამ აზრი გამოთქვა, საყავრის შვიდწლიან სკოლაში მოვიყაროთო თავი, მაგრამ მერე თვითონვე შეშინდა. ენაზე იკბინა და თავი შეიკავა:

— მაპატიეთ. წამომცდა. თავზე დაგვენგრევაო.

ასე დიდხანს დავრჩით ჩვენი კოლმეურნეობის რადიოკვანძივით დადუმებულები, სანამ არ შემოგვაღამდა.

— სინათლე აანთეთო,—წამოცდა ისევ იმ კაცს და ისევ ენაზე იკბინა. ჩვენც ავიღეთ და დავიშალეთ. მე თქვენ გეტყვით და ჩვენც წავიდოდით და კინოში შევიდოდით ან სოფლის ბიბლიოთეკაში ახალ ჟურნალ-გაზეთებს წავიკითხავდით!

კიდევ ბევრი რამ მინდოდა მომეწერა. პატივცემულო ნიანგო, მაგრამ ფინაგენტი მოვიდა და არ მაცლის. რადიოს ფული გადაიხადეო.

შენ რას მირჩევ, პატივცემულო ნიანგო, გადავიხადო?

უყველაფრო

ჯამბაზი სვანეთიდან

მახსოვს, ყმაწვილკაცობაში, ჯამბაზმა კიომ თბილისის ცირკის არენაზე კარგა მოზრდილი, ორასმანეთიანი, ჩაპუტკუნებული ბატი ჩასვა ყუთში, ფუო, შეუბერა სული და სადაა ბატი!

მაშინ რომ გაოცებისაგან პირი დავაბჩინე, მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში ვაპირებდი დამუწვას მაგრამ ვინ გაცალა, სოფლის ფოსტის გამგე გოშთელიანმა ისეთი ფოკუსი გამიკეთა, მე კი არა, ერთხანს, თვითონაც უკვირდა.

ფოკუსი ასე დაიწყო:

ამა წლის 30 მაისს ჭუბერიდან სოხუმში დეპეშით (№-62) გავაგზავნე ორასი (200) მანეთი ფოსტაში ფული გამომართვეს, ყუთში ჩადეს, არც სული შეუბერიათ, არც ფუო უთქვამთ და სადაა შენი ფული?!

თერთმეტ ივნისს სოხუმიდან მიღებული წერილიდან გავიგე, რომ ადრესატს ფული არ მიულია 13 ივნისს ვაფრინე პასუხიანი დეპეშა №5.

როგორც შემდეგ გამოირკვა, საპასუხო დეპეშა (№2803) მეორე დღესვე გამოუგზავნიათ სოხუმიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, გზაში იმასაც შეუბერა სული ვიღაცამ და სადაა შენი დეპეშა!

22 ივნისს სოხუმიდან კიდევ ერთი დეპეშა (21501) გამოუგზავნიათ, რომელიც, თურმე პირადად ჩამბაბარეს, მაგრამ, რადგანაც ფოკუსი იყო, მე არაფერი გამიგია.

რაკი ასეთი ხანგრძლივი და საოცარი ფოკუსი ჯერ არ მენახა, უფრო ფართოდ დავაბჩინე პირი და ამა წლის 26 ივნისს ქ. სოხუმში გავემგზავრე ფოკუსის შესამოწმებლად.

მაგრამ ფოკუსი ისევ ისე ფოკუსობდა. ფული ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

სოფელში დაბრუნებულმა 9 ივლისს კიდევ უფრო დავაბჩინე პირი და საშინლად მომინდა ფოკუსით აღფრთოვანებულს მებღავლა. მაგრამ ფოსტის გამგემ გოშთელიანმა ჯიბეზე ხელი იტაცა. 23 ივნისს მიღებული დეპეშა (№21501) დააძრო. პირში ჩამჩარა და მითხრა.

— გაჩუმდი! უმაღლესდამთავრებული კი არა, გლეხი არ იკადრებს, ორასი მანეთის გულისათვის ადამიანი გაიმეტოსო!

როგორც. ჩვეულებრივ. ფოკუსების დროსაა მიღებული. ფოკუსში გამოყენებული ნივთები პატრონს უბრუნდება. მაგრამ ეს ფოკუსი იმდენად ღრმა და შინაარსიანი აღმოჩნდა, რომ ჯერჯერობით არაფერს მიბრუნებენ.

ვხელმძღვანელობ რა უაღრესად კეთილშობილური ზრახვებით და ვიცი, რომ თბილისის ეროვნული ცირკის დასი გასაჭირშია და ჯამბაზების ნაკლებობას განიცდის, ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რათა ამხ. გოშთელიანი გადაიყვანოთ თბილისის სახელმწიფო ცირკის დასში და ნუ იღუპება სვანეთის მთებში ასეთი სწორუპოვარი ტალანტი!

ჯიხვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

571
60
161/414

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49.

გამომც. № 15. ხელმოწ. დასაბ. 28/VII-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. 14 შეკ. № 1275 უე 00060. ტირ. 40,000

60 — 371

ნახ. გ. ლომიძისა

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა ბარენცის ზღვაში, კოლის ნახევარკუნძულის მახლობლად, დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი წმინდა ცხვირის კონცხის ახლოს და ორსა-გელსკის მიმართულებით მიდიოდა, აუცილებლად სჯერდებოდათ მათ ეს წმინდა ცხვირი და აი ჩვენს საზღვრებში შემოსჩარეს კიდევაც თავისი ცხვირი.

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებიდან 12 ივლისს კრემლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.



უწმინდური ცხვირის მოკვეთა წმინდა ცხვირის კონცხთან